პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობათა კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 29/12/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016552) დამტკიცებულ წესში და წესის 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 22. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება

1.მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანადაფინანსებას ექვემდებარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ან/და მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, შშმ პირები, ზრუნვის სისტემიდან გასული პირები და ა. შ.) მხარდაჭერის მიზნით, შემდეგი სუბიექტები და პროექტები/პროგრამები:

ა) ა(ა) იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება - საქმიანობის ცენტრი ჩოხატაურში - უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის;

ბ) ა(ა)იპ „ქალები ქალებისათვის“ საინიციატივო შეხვედრები გურიაში - ქალთა სოციალური და საზოგადოებრივი აქტივობების გაძლიერება, შშმ პირთა მდგომარეობის შესწავლა და დასვენება მთისა და ზღვის კურორტებზე;

გ) ა(ა)იპ „ოდა ქეარი“ - ტრანსპორტირების მომსახურების ხარჯის დაფინანსება (შინმოვლისა და ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამების ფიზიკური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა);

დ) ა(ა)იპ „განათლების ცენტრი“ - 6-დან 18 წლამდე შშმ პირთა ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია, ფინანსური მხარდაჭერა კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად.

2. დაფინანსება გაიცემა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, თანხა ჩაირიცხება იურიდიული პირის საბანკო რეკვიზიტებზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

3. პროექტის თანადაფინანსებისთვის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი მოთხოვნა თანადაფინანსებაზე;

ბ) თანადაფინანსების მომთხოვნის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;

გ) დასაფინანსებელი პროგრამა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;

დ) პროგრამის მონაწილე პირთა რაოდენობა და ბენეფიციართა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

4. თითოეული პროექტი ფინანსდება მხოლოდ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

5. დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების ან წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე.

6. დაფინანსების მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს თანხის მიზნობრივი გამოყენება.

7. ქვეპროგრამის ფარგლებში დაუშვებელია:

ა) სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირების დაფინანსება;

ბ) ამ მუხლით განსაზღვრული ზღვრული ოდენობების გადაჭარბება;

გ) თანხის გამოყენება მიზნობრიობის დარღვევით;

დ) ისეთი პროგრამის/პროექტის დაფინანსება, რომლის დაფინანსებასაც სრულად უზრუნველყოფს სახელმწიფო პროგრამები.

8. დაფინანსების მიმღები ვალდებულია წარმოადგინოს შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

9. ამ მუხლით დადგენილი პირობების დარღვევის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შეაჩეროს დაფინანსება ან მოითხოვოს მიღებული დაფინანსების დაბრუნება.

10. ქვეპროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.